შაბათი, 7 მიოლგოგბისთვე № 45 — 1915

ყოველ 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ. ცალკე ნომერი 10 კ. — ხელის-მოწერა მიიღება „სოფრაპან"ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба" І. Имедашвили.

ფასი 10 კ.

† **ბიკენტი (ჭოლა) ბიბინისძე ლომთათიძე** (1881—1915)

ნომერი უკვე დასაბეჭდათ გამზადებული გვქონდა, ტელეგრაფმა სამწუხარო ამბავი რომ გვაცნობა:

გ რდაიცვალა ბიკენტი (ჭოლა) ლომთათიძე, ბელეტრისტი და მეორე სახ. სათეატროს წევრად ნამყოფი, ერთი იმ თავგამოდებულ მებრძოლთაგანი, რომელნიც ხვარაკად გაწიწირნენ ხალხის უფლებათა მოპო�oსთვის...

მთელი ხან მოკლე სიცოცხლე ჭოლასი, საყმაწვილიდან სიკვდილის კარამდე, მოუსვენარი და მშფოთვარე ბრძოლა იყო: უკეთესობის წინააღმდეგ: მისი ფიზიზელი გონება, ნახი და სათუთი გრძნობა ტკბეობაშიც კი არ ისვენებდა და სიტყვით თუ წერით მარად უკეთეს ცხოვრებისკენ მოუწოდებდა მამშრალ გვემულნი... როგორც პრაქტიკული მოღვაწე და მწერალი ცხრასასან წლებში გამოდგება საზოგადო ისარებზე: დიახ მონაწილეობას იღებდა განმათავისუფლებელ მოძრაობაში. თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში (სპ. მეცირიშვილის; გერის, კ. ოლიას და სხ. ფსევდონიმებით), 1907 წ. 22 თებრ. ქუთაისის გუბერნიის მხრით არჩეულ იქმნა დეპუტატად სახ. სათათბიროში, სადაც ს.-დემოკრატიულ ფრაქციაში ჰაირიცხა, მუდამ მოწირნავე დემოკრატიის წრეში იყო. 1907 წ. 1 ენკ.ნ., სოციდემოკ. ფრაქციის განსამართლების დროს 5 წ. კატორგა გადაუწყვეტეს, რაიც 7½ წ. ციხედ შეუცვალეს და უკანასკნელ ტყვეობაშივე ამოჰხდა სული. — დაწერილებით ბიოგრაფიასა და მისი მოღვაწეობის დახასიათებას, შემდეგ №-ში დავბეჭდავთ

7 მიოლგოგბისთვე

კუჭი და ხელოვნება

თუ კრაკს ქონი მოსცლია, კანდელს — ზეთი, ბატონს ვერ ინთებს, სითბო-სინათლეს ვერ გამოსცემს.

ეს ცხადი ჭეშმარიტება მხოლოდ ხელოვანთა მიმართ ირღვევა...

ხელოვნების ყოველი დარგის მუშაკნი სწორედ ამ „ქონს", „ზეთს" არიან მოკლებულნი..

განსაკუთრებით ჩვენი ! ცენის მუშაკნი არიან ამ მხრით მეტად ძნიმე მდგომარეობაში...

მსახობს შედარებით მეტი მოთხოვნილება აქვს, მეტი სიჭრუნავი და, წლიურად თუ გავიანგარიშებთ, სულ უბრალო მოხელის, ბოგანო-მუშის ჯამაგირიც არ ეძლევა...

და ასეთ ყოფაში ხელოვანმა როგორ უნდა ანათოს, ოღონ თვით მასში ცეცა და ბნელა?..

ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვიწუმუ-

ნოთ, რომ ხელოვნების მსახურთაც აქვთ კუჭი, ჰყავთ ცოლშვილი და თუ გვსურს, მათი შემოქმედება მაღალი იყოს, სცენაზე თამაში—ნამდვილი ღვთისმსახურება, სიმშილ-გაჭირვების აჩრდილიც უნდა მოვაშოროთ...

ჩვენი სცენის მუშაკნი, ვინ არ იცს, რომ წელს მძძაფრ პირობებში მოგქცენ,—მიუხედავად ამისა ქუთაისში მაინც თვით მსახობთ დაიწყეს სეზონი და თბილისშიაც, ბევრი დაბრკოლების შემდეგ, შესდგა დასი, რომელიც, სახალხო სახლის სცენაზე თვეში სა:ს წარმოდგენას გამართავს...

ანგარიშში მისაღები არ არის საკლუბო წარმოდგენები, რომლებიც ბევრს ვერც თვით მსახიობთ შესძენს და ვერც ხელოვნებას...

ჯერჯერობით ისევე სახ. სახლის სცენაა, სადაც შეიძლება, ოცტად თუ ბევრად, რიგიანი წარმოდგენები დაიდგას...

მაგრ.მ თვეში სამი წარმოდგენის შემოსავალი რას გასწვდება ოცი კაცისაგან შემდგარ დასს?!

მართალია, ქართ. დრამ. საზ-ის გამგეობამ დასს თვიურად დაუნიშნა ასი თუმანი და შემოსავლის ნახევარი (მხოლოდ სეზონის განმავლობაში), მაგრამ ეს რა იქნება, თუ თვით საზოგადოება თანაგრძნობით არ მოეკიდა სამშობლო სცენის მსახურთ და თავისი ზეჯითი დასწრებით შემოსავალი არ გაძლიერა?

ქუთათურმა დასმა სულ მცირედი თანხით (ქუთ. დრამ. საზ-ის შემწეობა) დაიწყო, საქმე,წარმოდგენებსაკ სისტემატიურად სდგავს, მაგრამ შემოსავლის სიმცირით ვერც მხატვრულ ჩრის გაუმჯობესებას ახერხებს, ვერც მონაწილეთა სათანადოთ დაკმაყოფილებ ს ..

დასს უკვე თხოვნა შეუტანია, სადაც ჯერ არს, სახსარი აღმოუჩინონ, ან თეატრი დაუთმონ შეღავათიან ფასებში...

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ქუთაისის დრამ. და სხ. კულტ.-ფინანსიური საზოგადოებანი სამშობლო ხელოვნების პირდაპირ და დაუზარელ მუშაკთ ყოველნაირად ხელს შეუწყობენ, რომ მათ წლევანდელ ფრიად მძიმე პირობებში ღირსეულად შეასრულონ ,ვინი მაღალი ეროვნულ-კულტურული მოვალეობა...

რ ე ვ ი ზ ი ა

შეტაბული მდუმარება

კარგა ხანია მდუმარებამ მოიცვა ჩემი სული; აი, სწორედ ისეთმა მდუმარებამ, რომელ ც მეფობს დაუედებულ ბერთა საკანში, როცა ისინი ყვითელ, მაგრამ წმინდა, სქელ ყდიან სახარების ფურცლებს ზლიან და თაფლის სანთლის სურნელებას ყნოსავენ.

მომავალ, უკვდავ ცხოვრებაზე ოცნებობენ თეთრ-წვერა მოხუცნი და ლოცავ მათი ისე წმინდაა და მოჩურჩულე, ვით უდაბნოის მონასტრის წყარო.

მოთმინება, აი სავანე მათის სულისა.

მეც მდუმარებას შევუპყრივარ, მაგრამ მას მოუთმენლობის იერი გადაკვრია.

ჩემი მდუმარება მარადის აღმოხეთქას ლაობს, მაგრამ შევე ვარ მისი ჯალათი.

სთქვი, სთქვი რამე... რამდენი ხანია აღარ გსმენია, მეუბნება უცნობი მეგობარი, მაგრამ ჩემი მდუმარება მაინც შეურყეველია.

მას არ სურს გატყდეს, რადგან კარგად უცდია სიტყვის უძლურება.

აი, იმ სიტყვებისა, რომლითაც ჩვენ ყოველ დღიურობაში ვვარჯიშობთ, რომლითაც მე არა ერთხელ გამითენებია მეგობართან საუბრობაში.

ვმდუმარებ, მაგრამ ერთი კი ცხადია: ეს მდუმარება მწუხარების შვილი არაა, იგი წარმოშვა ბედნიერების, დიდი სიხარულის მოლოდინმა.

აი, სწორედ ისეთის, რომელსაც მოელის უდაბნოის ბერი, ვერცხლის წვერებით შემოსილი.

მხოლოდ ეს კია, რომ იმ ბერის ბედნიერება უფრო ფანტასტიურია, ირაციონალური...

მე კი ვიცი, რომ ჩემი ბედნიერების საათი ძალე დაჭკრავს, იგი თვალით სახილველი სინამდვილეა; იგი ისე ახლოა, რომ მე ხელს ვიწვდი მისკენ.

ეს ჩემი მდუმარება არ არის ძველებური სიჩუმე, რომელსაც მრავალ წყრტილით ვსახავდით.

იქ არ ვიცოდით, რა გვინდოდა, რა უნდა გვეთქვა—სად იყო ვამოსასვლელი?

აქ ვიცით, რომ მოველით ცხოვრების განახლებას, ვიცით რაც გვწადია, მაგრამ ამ დიადის წინაშე ყოველი ნაცადი სიტყვა მკრთალია და იგი მოკრძალებით ქრება მის ძლიერების წინაშე.

„დიდ ხანს განვეცდით“...

აი, რამდენად უძლურია სიტყვა ამ სიდიადის წინაშე. მაგრამ ჩვენ მოვსძებნით ახალ სიტყვას, თვით ეს სიდიადე გვასწავლის ახალ ენას, გასწმენდს და გადაადუღებს ჩვენს სულს, რათა მან ფართო მასშტაბით და ძლიერის ტემპით დაიწყოს დენა.

ვის შეუძლია ჩვენგან ილაპარაკოს ახალის ენით, თავისუფალ გმირის ენით?

კარგად უთქვამს მგოსანს: „ჩვენ ხომ მხდალნი ვართ, ვით ქვეყანა ჩვენი მშობელი და ხოხობივით თავსა ვმალავთ ოცნების ბუჩქში“...

მთელი სიცოცხლე მონობაში გაგვიტარებია, უვნებო და უტყვ ოცნებას დაულევია ჩვენი ჯანი და ეხლა, როცა განთავისუფლების დღე კარს გვადგას, როცა არა სიტყვით, არამედ მთელის არსებით უნდა განვიგრძნოთ სიდიადე თავისუფლებისა, გმირობისა, როგორ გინდათ გამოხატოთ ყველა ეს?

ვის ძალგიძთ ილაპარაკოთ გმირის ენით?

რუსეთის ბოგანომ, როცა იგი წელში გაიმართა და თავისუფალი აღმაფრენა იგრძნო, მარტო ერთი სიტყვა სთქვა: „Эхъ-ма!..“ (მ. გორკი).

აქ ისახება მთელი სტიქია მისი ნებისა, და ფუქსავატობა ყველა იმ ფრაზების, რომლითაც იგი წარსულში გვეტყოდა ხოლმე.

და ჩვენ, როცა პირველად მოხრილ წელს გავასწორებთ, მზეს შევხედავთ, მაგრად ამოვიხვნეშებთ და ვიტყვით: „ვაჰ, დედასა!..“

აი, აღსარების სიტყვები ახალ ცხოვრების ზიარების წინ. ბნელში აღზრდილნი, სინათლეს დავეჩვევით და იგი სინათლე გვასწავლის ახალ, ღია ფერებს, ცხოველს სიტყვებს.

მთელი ენერგია მომავალ ცხოვრებისა ამ სიტყვებშია, რომლებიც სახავენ ძველის დარღვევას და დათრგუნვას, ახალ გზას.

„აქტიური ნიჰილიზმი, მიმართული რღვევისათვის—წინამორბედია ახლის აღმოშენების..“ (ნიცშე).

შაბლონად ვაქციეთ მდუმარება, უძლურების სინონიმად გავხადეთ იგი და, ამის გამო, ჩვენ არ ვიცნობთ ახალ, ცოცხალ მდუმარებას.

უკანასკნელი აქტიობის მდუმარებაა, რომელიც ყოველ მკვეთრ სიტყვაზე უფრო მეტყველებს. იგი არ არის პოეტური სიჩუმე, ჭვრეტის სამყარო, არამედ იგი მდუმარე ლოცვაა იარაღში ჩასხმულ გმირისა ბრძოლის წინ.

რა კარგია, აქტიური მდუმარება, რა კარგია მზადება ახალ ცხოვრების, განთავისუფლების წინ!..

მაშ ნუღარ გიკვირთ, რომ დიად ხანის წინ სდუმს ჩვენი ხელოვნებაც, ვით ზღვის ზედაპირი ქარიშხალის მოლოდინში...

აკაკი პაპავა

ბრძენი მოქანდაკე

(ლეგენდა)

ყმაწვილობიდან სიბერემდე ის ერთ მშვენიერ ქანდაკებას ჰქმნიდა. ყმაწვილობიდამ სიბერემდე ის ადგა ერთ მარმარილოს და ცდილობდა ამ უსულო მარმარილოში გამოეხატა თავისი სიკეთე და სიყვარული.

მან დაასრულა თავისი მშვენიერი ნაშრომი და ქუჩაში გამოიტანა... მაგრამ სანამ ხალხი შეკრბებოდა, თითონ მოეხვია ქანდაკებას და მის ოთხ-კუთხ საფეხურზე მიიძინა საღამოს ძილით.

ბრძენი მოქანდაკე მკვდრათ იცვნეს და დაასაფლავეს ზღვის ახლო, მთის წვერვალზე, აკლდამაში და ზედ სამახსოვროდ დაადგეს მისი ქანდაკება, რათა ზღვისა და ხმელეთის მგზავრებს დაენახათ ზეაღმამფრენი ნაწარმოები.

ერთ უბედურ საათს მოქანდაკეს გამოეღვიძა და იგრძნო თავისი საშინელი მდგომარეობა.

ის გააფთრებულ ძალით მისწვდა მარმარილოს სახურავს და შეარხია... მაგრამ ნაცნობმა ჩუქურთმებმა შეაკრთო გული. აქ შეჩერდა და აკანკალებული ხელით მოუსვა ნაცნობ მარმარილოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძენი დარწმუნდა, რომ ის სახურავი თვისი ხელით ქმნილ ქანდაკების საფეხურია... ბრძენი ჩაფიქრდა და მიხვდა, რომ იმ სახურავის გადაგდებით, წაიქცეოდა მისი შექმნილი ქანდაკება და დაიმტვრეოდა.

მას შეეძლო ამ საშინელ წუთებში მოეკრიბა იმდენი ძალა, რომ დაბრუნებულიყო მზის და სიცილის ქვეყანაში, მაგრამ მსხვერპლად უნდა მოეტანა თავისი სიკეთის და სიყვარულის გამომხატველი სახე...

უნდა ემსხვერპლნა მთელი თავისი სიცოცხლის ნაშრომი, რომელსაც ჰქმნიდა შემოდგომის სევდიან ღამეებში და გაზაფხულის ნათელ ცისკრებში.

ის ნაშრომი, რომელსაც ჰქმნიდა ობლად თავის ღარიბ სადგომში სულ ყველასაგან უარყოფილი და დაცინებული. ის ინსტინქტიურად მაინც მისწვდა სახურავს, მაგრამ ხელი აუკანკალდა და გაშეშდა...

სიცოცხლეს ვინ დააფასებს!

ძნელია განსაზღვრო სიცოცხლის ფასი.

ის კიდევ მისწვდა სახურავს, მაგრამ ისევ გაშეშდა; მან იცის ქანდაკების ფასიც...

რაშიც მისი სული გამოიხატებოდა უნდა დაიმტვრეს.

ღირს კი ამდენად მისი სიცოცხლე?!

ის მოხუცია, თვალს და ხელს შუა მიიპარება.

იმოდენა ფასით უნდა იყიდოს რამდენიმე სევდიანი დღე!

ის მოხუცია, სამაგიეროს ვერ შექმნის და მხატვრული აჩრდილი მოუწამლავს შემოკლებულ საათებს

და შემდეგ ადამიანთათვის ვერ აღადგენს სიყვარულის და სიკეთის მომხიბლავ სახეს.

ბრძენი უცებ მოწყდა და დასუსტდა, მოიკუმშა და შეძრწოლდა აკლდამაში.

ის ცდილობდა თავი შეეკავებინა და არ ჩაედინა სიგიჟე. მას ესმოდა, როგორ მაგრად უძგერდა გული, როგორ ერეოდა უძლურება... ჰაერი არ ჰყოფნიდა. . თანდათან გრძნობდა სიკვდილის მოძალებს...

გათავდა...

ზღვის პირა მთის მწვერვალზე იდგა ქანდაკება სიყვარულისა და სიკეთის გამომხატველად...

ძლიერმა ხელმა საიდუმლოდ გამოსახა იგი.

მან საშინელი საიდუმლო მოახდინა თავის ფერხთა ქვეშ.

სურო

ოჯახის მამა

(სურათი გურიის ცხოვრებიდან)

— სა მიხვალ მამა? მე რას მომიტანავ? პურის მომიტანავ? პეპიას?

ეტიკტიკებოდა პატარა ცეცე მამას, რომელიც ამ დროს ხურჯინში ტიკჭორას უკრავდა თავს და თან ზემოდან ვაშლებს აწყობდა რომ არავის შეემჩნია, თუ ხურჯინში ტიკჭორა იდო.

— ყველაფერს მოგიტან, შვილო, ყველაფერს, თუ გზაზე არავინ დამიჭირა და ცოცხალი დავბრუნდი. შენ კი ახლა დაწევი და დაიძინე,— ალერსით უთხრა ნესტორ ფიქრიანიძემ თავის პაწია გოგოს და შემდეგ იქვე მდგომ ცოლს მიუბრუნდა:—მეიტანე შენ იგი ჭადი და ყველი, ჩავდებ ბარემ და დილას მზათ მექნება.

— მე შენ მოსვლამდი ვერ მევისვენებ. . ხომ იცი რაფერი დროია... ნეტაი სულ არ წახვიდოდე.. რაცხა გული არ მიშობა ხვალე შენს ბათომში წასვლას ..—მზრუნველობით უთხრა ქმარს ესმამ და გაზეთის ქაღალდში გახვეული ვახშამზე ნარჩენი ჭადი და ყველი მიუტანა.

— ღმერთმა შენი თავი ნუ მომიშალოს. . მე კი ძ ლიანს მიშობა გული!.. მარა ამ ბალნებს რას აძლევ, ხულა*) რომ გამოგიცალიერდა? ოღნავ დამცინავი და თან მწუხარების ღიმილით უთხრა ცოლს ნესტორმა.—ერთი ჩატანა, თვარა მუშტარი კაი მყავს; თითონ პრის-

---

*) ხულას—ბეღელს ეძახიან გურიაში.

-ტავმა მითხრა, თუ ჩამოიტან, ორ მანაას მოგცემ ბოთლშიო.—სთქვა ნესტორმა და მაგრად მოუკრა ხურჯინს თავი. შემდეგ ტანზეც არ გაუხდია, ისე მიიძინა შვილების საფერხელთან, მერე ფრთხილად წამოდგა, სველი ხელი ნამძინარევ თვალებში ამოისვა, თავზე ჩაბალახი დაიხურა, ტიკჭორიანი ხურჯინი მხარზე გაისწორა და მძინარე ცოლშვილს თვალი გადაავლო; ველარ მოითმინა და პატარა ცეცეს ხუჭუჭა თავზე აკოცა; მერე ჭრაქი დააქრო, ფეხაკრეფით მივიდა კართან, წუთს ისევ მოტრიალდა, უნდოდა ცოლისათვის ეთქვა: მე მივდივარ და ჭკუით იყავით, მაგრამ ისევ გადაფიქრა, ფრთხილად გააღო და მიხურა კარი, იქვე სახლის წინ მიყუდებულ ჯოხს ხელი წამოავლო, ღმერთი ახსენა და გზას გაუდგა.

ნესტორის წასვლა არ გამოეპარა მხოლოდ მურიას, რომელიც ტორტმანით და წკმუტუნით ელობებოდა წინ საყვარელ პატრონს, თითქოს ეუბნებოდა: ნუ წახვალ, თორემ უბედურება შეგემთხვევაო.

— შინ მურია, შინ... წადი შინ.—ნელის ხმით უთხრა ნესტორმა თავის ოჯახის ერთგულ დარაჯს და ჭიშკარი მიიხურა. ჭკვიანი პირუტყვი ცოტახანს უცქეროდა მიმავალ პატრონს და მერე სახლისაკენ გაქანდა.

ნესტორ ფიქრიანიძე კი თავის სახლკარს და სოფელს თანდათან შორდებოდა, მიდიოდა ფრთხილათ, მარა ჩქარი ნაბიჯით.—„სტანციაში“ რომ ისე ჩავიდოდე, გზაში არავინ შემხვდებოდეს, მერე აფერი მიჭირსო“, ფიქრობდა და თან ცალი ხელი არაყით სავსე ტიკჭორაზე ჰქონდა შემოხვეული, თითქოს ეშინოდა—არავინ წამართვასო; მეორეში კი ჯოხი ეჭირა და ისე მიაბიჯებდა. მთვარიანი ღამე, მას უადვილებდა მგზავრობას, მოკრიალებული ლურჯი ცის გუმბათი ლაჟვარდით იყო მოჭედილი.

ნესტორს ძალიან უყვარდა ასეთი ღამე. რა კარგია ქვეყანა, ადამიანი რომ არ აფუჭებდეს ამ მშვენიერ ქვეყანაში ცხოვრებას... ფიქრობდა ნესტორი. რა მშვენიერი ზაფხულივით ღამეა... მე კი მეშინია!.. რატომ? ვის

რა დაუშავე, ვის რა მოვპარე? ჩემი ნაშრომი მიმაქ გასაყიდათ, ვის რა ხელი აქ?! არა, „არ შეიძლებაო“ მეუბნებიან... რომ დამიჭირონ, ციხეში ჩამაგდებენ... ღვინო ვერ გავყიდე, ნურც ოტკათ გამოვხთი?.. ბაღნები რაით შევინახო? სხვაგან წავედი, სამუშაო ვერ ვიშოვე.. შინ მოვედი, დღე და მე გავასწორე და ათი ფუთი ქადი ვერ მოვიწიე... ხან მეტისმეტმა გვალვამ გააფუჭა და ხან მეტისმეტმა წვიმამ!..

ამ ფიქრებში იყო გართული ნესტორი, რომ ცხენებ-ს ფეხის ხმა მოესმა.

— Дорогу!—შეჰყვირა ნესტორს გაჯავრებულმა მეეტლემ და რეზინიანი ეტლით გვერდით ჩამოუქროლა. ნესტორმა მთვარის შუქზე დაინახა, რომ ეტლში ვიღაც ყვითელ ფოლაქები ნი და რუსულ ქუდებიანი კაცები ისხდნენ.—ღმერთო, შენ გმადლობ, რომ გადავრჩი, თორემ რო გაეგოთ, რა მიმქონდა, ხომ დავიღუპებოდი.

გათენდა და ნესტორიც ჩავიდა სადგურზე. ხურჯინი ერთ ნაცნობ მედუქნესთან შეინახა, რადგანაც საღამომდე-ს ბათუმის მატარებელი არ გამოივლიდა. მანამდე ის ყურს უგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებდა აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილ ხალხს, რომელიც ომის შესახებ მსჯელობდა და გაზეთებს კითხულობდა. ნესტორსაც აინტერესებდა ეს საკითხი, მაგრამ ომის ბოლო როგორი იქნებოდა, ამის თქმა არავის შეეძლო.

— გერმანიას, ჩემის აზრით, ვერავინ დასძლევს, რადგანაც მისი ტეხნიკა უმაღლეს წერტილამდე ყოფილა განვითარებული. —ამბობდა ერთი.

— რას ამბობ, კაცო, რუსეთის ურიცხვ ჯარს ვინ გაუძლებს, სხვა რომ არაფერი იყოს, გერმანიას რუსეთი შიმშილით ამოხოცს.— უმატებდა მეორე.

— ყველა, ყველა, მარა იგი ბეჩი თათარი რაღას ფიქრობს, რეიზა მოატყუებია ასე გერმანიას თავი? - იკითხა ვიღაცამ.

— თათარი თქვი შენ და საქმე კი გაგვიჭირა, მაგას თუ ამდენი შეეძლო, არც მაგი მეგონა.—სთქვა მესამემ.

— ღმერთმა დაიფაროს, მარა, რომ ღმერთი გაუწყრეს და შემოვიდეს, მშვიდობიანი მცხოვრებლები რა გზას უნდა დაადგეს?— იკითხა პირველმა.

— რა გზას უნდა დავადგე, ორ-სამს მაინც კი გევიძღვანიებ წინ, სულ რომ ჯოხით გაუტეხო თავი. . რა უნდა ჩვენში ურჯულოს— სთქვა ვიღაცამ.

— არა ძმაო, მე ვერ გეთანხმები მაგაში, უბრალოდ, რომ ცოლშვილი ავაწიოკებიოთ, ეს სისულელე იქნება, დათვმა რომ მოგერიოს, ბაბე დაუძახეო, ნათქვამია. მერე ვინ იცის რას მოგვიტანს მომავალი. ჩემი აზრი ასეთია და ისე თქვენ იცით,—ამტკიცებდა მოლაპარაკე.

ვიღაცას კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ამ დროს სადგურის ზარის წკრიალი მოისმა, რომელმაც მგზავრებს მატარებლის გამოსვლა ამცნო. ყველამ შეწყვიტა ლაპარაკი და თავიანთი ნივთებით სადგურისაკენ გაეშურენ ბილეთების ასაღებად. მათ შორის იყო ნესტორიც თავისი ხურჯინით. ცოტა ხნის შემდეგ მატარებელიც გამოჩნდა, რომელიც გველივით მოიკლაკნებოდა და მიხვეულ-მოხვეული რკინის გზაზე, თვალების ხარივით აბრიალებდა, ძლივს ქშინავდა.

— Дальше, дальше... нѣтъ тутъ мѣста,— მოისმა კანდუქტორის ხმა და ხალხიც თავისი ბარგი-ბარხანით მატარებლის ბოლოსკენ წავიდა. უნდოდ თ ჩქარა დაეჭირათ ადგილი. ნესტორიც მოთავსდა ერთ კუთხეში თავის ხურჯინით, მაგრამ თავს ერთობ უხერხულად და მოუსვენრად გრძნობდა, რადგანაც ბილეთი არ ქონდა, თან ხურჯინის ეშინოდა... კანდუქტორმა ბილეთები გაუსინჯა ყველას, ნესტორს კი შემდეგ სადგურზე უფროსთან წარდგენას დაემუქრა. კარებში გასვლის დროს ნესტორმა რაღაცა უთხრა კანდუქტორს, რის შემდეგ ის თან გაჰყვა მას თავისი ხურჯინით.

— ჰა, ეს ბოთლი გამიმსე—ეუბნებოდა კანდუქტორი თავის პატარა ოთახში ნესტორს. უკანასკნელიც სისწრაფით უხსნიდა თავს ტიკჭორას.

— უჰ!.. რაის სიმაგრე ყოფილა! ჰაქის არის? იკითხა კანდუქტორმა და არაყს ვაშლიც ზედ მიაყოლა.

— ღვინის, ბატონო, წმინდა ღვინის.

— ეს კარგი, მარა კანტრალიორმა რომ ჩამოიაროს, მაშინ რას შობი?—შეეკითხა ნესტორს კანდუქტორი,

— მიშველე, ბატონო, რამე: ხომ იცით, ფული რომ მქონებოდა, უბილეთოთ არ წამოვიდოდი. აქეთობას ბილეთსაც ვიყიდი და პატივისცემასაც გადვიხდი.

— მაშ კარგი, იჯექი აქ და თუ კანტროლი ჩამოჯდა, გაგაგებინებ. ამ სიტყვებით კანდუქტორმა პატარა ოთახის კარები მიხურა და ნესტორი შიგ დასტოვა.

— „რა მეშველება, რომ შამოვიდეს ის ვინცხა კანტროლია . ხომ დევიღუპე. — ფიქრობდა ნესტორი და გაჩენის დღეს იწყევლიდა. თან რამდენ ფეხის ხმას გა გონებდა, შიშით იტყოდა და კარებს მისჩერებოდა. აი ესეს არის შემოვა ვიღაც კანტროლია, უყვირებს ნესტორს, ხურჯინს წაართმევს, ოქმს შეუყენებს, შემდეგ ხიშტებიან სალდათებს გადასცემს და ციხეში გაგზავნიან... ნეტაი არ წამოვსულიყავი .. ესმამკ ქე დამიშალა... ვაიმე... რავა დავღუპე ცოლშვილი..“ ფიქრობდა ნესტორი, მატარებელი კი უდარდელად მირახრახებდა ბათომისაკენ; ხან ტყეში შესრიალდებოდა გველივით, მარა ისევ მალე გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმინდვრებდა; აგერ ზღვის პირს მიუახლოვდა და ისე დაუპირდაპირდა მას, თითქოს ეს არის შიგ ტალღებში გადაეშვაო, მაგრამ მარდათ აუხვია გვერდი და პატარა კლდეს მოეფარა, მერე ისევ ზედ კიდეზე გადადგა ბობოქრებულ ზღვას, რომელიც თითქოს ვიღაცას გაუჯავრებიაო, პირიდან ცოფს ყრიდა, ტალღებს ნაპირებს ახეთქებდა, რის გამო ურიცხვი ვერცხლის ფერი წინწკლები შორს იფანტებოდა და მატარებლის ფანჯრებზე ეპკურებოდა დაუღალავმა გველეშაპმა ერთი ღონივრათ დაჰკივლა და საშინელი რახახით ხვრელში შეძვრა... უცებ მოწყდა ქვეყანას. მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ ისევ გამოჩნდა, ერთი წამით სული მოითქვა და ისევ გაქანდა.

— აი ღმერთო... მგონია ტურნელიდან გვევდეთ. აწი ბევრი აღარ აკლია ბათომში ჩასვლას,—გაიფიქრა ნესტორმა და შიში თანდათან გაეფანტა, თან ტიკჭორას დაუწყო სინჯვა, თავი გლახათ ხომ არ მომიკრავს — არ დამექცესო. „ცოტა კიდევ და „ოტკის“ მგგერ ფული მექნება ჯიბეში“, ერთი წამით ისიც აი გაიფიქრა ნესტორმა, თუ სიმინდს გარდა რა ეყოდა ცოლშვილისათვის, რომ ამ დროს აჩქარებული ფეხის ხმა მოესმა და იგიც კარებს მიაშტერდა.

— არიქა... კანტროლი მოდის... გადახტი თუ შეგიძლია... სტანციაც ახლოა..— მიაძახა მას კანდუქტორმა და კარებისაკენ უჩვენა. ნესტორმა ელვის სისწრაფით დასტაცა ხურჯინს ხელი და კარებთან მიარბენია, კარი გამოაღო და შეჩერდა, რადგანაც მატარებელი ჯერ კიდევ ჩქარა მირბოდა და არც სადგური იყო ახლო.

— აბა ჩქარა!.. ჩქარა, შე ოჯახ დასაჭცევო, თორემ დევიღუპე,—კვლავ შესძახა კანდუქტორმა. ნესტორმა ხურჯინი გადაგდო და თითონაც გადახტა...

— Чортъ васъ побралъ... ეშმაკმა წაიღო თქვენი თავი.—მიაწყევლა ნესტორს კანდუქტორმა, კარები მიხურა და ვაგონში შებრუნდა.

— Билеты, господа, билеты... მოამზადეთ ბილეთები,—იძახდა კანდუქტორი და დიდ ფარანს კანტროლს უნათებდა, რომელიც ისე დაკვირვებით და დინჯი გამომეტყველებით სინჯავდა ბილეთებს, თითქოს მძიმე ფილოს-ფიური საკითხი იყო გამოსარკვევი.

მატარებელმა უკანასკნელათ დაიკივლა და გაჩერდა ბათომის სადგურზე, საიდანაც მგზავრები რიგ-რიგად გამოვიდნენ და თავიანთ გზას გაუდგნენ. ვერ შეესრულა მხოლოდ თავის ნატვრა ნესტორ ფიქრიანიძეს: ის მატარებლიდან გადმოხტომის დროს ბოძს დაეტა-



კა თავით და იქვე გარდაიცვალა. ნესტორი მეორე დღეს ნახეს რკინის გზის მოსამსახურეებმა თავის ხურჯინით, რომელიც ერთმა იმათგანმა იცნო, როგორც მეზობელი, კუბო გაუკეთა და შინ წამოასვენა.

კონკის ძველებში გახვეული ცოლშვილი, გულშემზარავი ბღავილით შემოეხვია ნესტორის კუბოს...

მხოლოდ პატარა ცეცე ვერ მიხვედრილიყო, რაში იყო საქმე... გაკვირვებით უცქეროდა მამის გაცივებულ სახეს, რომელმაც „პურის და პეპიას“ მოტანა დაპირდა გუშინწინ, მაგრამ ახლა კი ზედაც არ შეხედა მას.

ს. რემონიძე

ფშაველი

ხელ-ჩართულ ომში მოუკლავი
ლაღი ვაჟკაცი მთებისა;
მის სახელოვან გმირობას
სანთელიმც დაენთებისა...

სხვის მიწა-წყ ლზე, სხვის ჯარში,
შვილებს უკლავენ ფშაველთა;
მტერი კი, კარზე მომდგარი.
სისხლით რწყავს ჩვენთა მთა-ველთა...

გ. ქუჩიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვავილები

მთვარე

ჩუმად! ჩუმად! ვიღაც უცხო, უცნობი და უხილავი
ჩემს სარკელში იხედება, მთვარის შუქის დამჩრდილავი.
ჩუმად, სიო! ღია სარკმელს გარს ნუ უვლი ასე ახლო!
არ დამიფრთხო მოჩვ ნება, იქნებ სულით ცას ვეახლო!

ვიღაც უცხომ, უხილავმა, ვგრძნობ, თვალები მომაჭერა!
შე ხომ სარკმელს არ ვუცქერი!—რომ აქ არის—მაინც მჯერა!
რაღაც ოდნავ აშრიალდა, მესმა—თითქოს დამიძახა,
ჩემს პირდაპირ დიდ სარკეში ვიღაც თეთრი ჩაისახა.

მთვარემ სხივი თითო-თითოდ მდუმარ კედელს ააცალა
და ოთახში დაბინავდა უცნაური რაღაც ძალა.
თითქოს ფარდა ჩამოეშვა, ჩრდილი ფრთხილად მომეპარა.
რად დაბნელდა ნეტა ასე?—ხომ არავინ მომფარა!

ვხედავ: სარკე გაიშალა, სარკე თეთრად დაფერილი,
და გამოჩნდა ტბა ცისფერი, თეთრ გედებით დასერილი...
ტბას დასცქერის ცის თაღიდან ვარსკვლავების ჩრაღდნები,
ცას ხომალდი ამკობს ღრუბლის, ხომალდს—თეთრი იალქნები.

ჰა, დაიმსხვრა ცის ხომალდი, ვარსკვლავები ძირს დასცვივდა
და ისფერ ტბის ტალღებზე თეთრ ვარდებად ატივტივდა...
ანგელოსნი ჰკრეფენ ვარდებს და კონავენ ცისფერ სხივით...
რეკა ისმის სადღაც ჩუმი, ტყის ფოთოლთა ჩურჩულივით...

ს. ფაშალი

ვამის ყვავლენი*)

— ვინ ხართ თქვენ, თავ-დახრით მდგომნო?—
თქვენ სახეს ფერი მოდად დაუკარგავს
და მაგ წარბების მრავალი კვანძიც
დმერთის კაშკადულ იუდისს ჰგავს;
ხელებსა ჭმალავთ ქერდულ ცხვახიო,
თქვენი მზერა კი ამხელს სულის წყლულს,
მას რაღაც ბნელი ცოდვა მიუდვის
და სინანულით ქმის სიბრალულს.
— ვინ ხართ, ვინ?—

—ურწმუნო შვილნი:
მანათლულნი ვართ ბორიტ სახელით,—
ჩვენ მამა გვყავდა ღმერთისა დარი
და ის შავკაცდით სავუთარ ხელით!—
სიკვდილის ჟამსაც ჩვენი კვლოცავდა,
და რას დადუმდა იმისი ენა,
მაშინ ჯრიდობაც აუმეტესვალდა
და სინანულით კვლოცავდა ჩვენა...
სასნაული ჩვენს ხელებს დაქად მოეცნა
და იგი კვდებოდა, ვით შეჩვენება!
მამის მკვლელნი ვართ!—მისი ახრდილი,
სიზმარშიც გვამხელს და კვეჩვენა!
სულიდ დაძმიმდა ცოდვის სასწორზე
და ჩვენს ყავებს ვითხსკეტენი,
შემლოდენი ვართ!—შენდობას ვითხოვთ!—
მამის მკვლელნი ვართ!—შენდობას გეძებთ!..

ს. ფაშალიშვილი

*) ილია ჭავჭავაძის სახელით სალამოზე წაკითხული ავტორის მიერ ხარფუტის სახ. კლუბში 27/X

ცა მრისხანებს...

ცა მრისხანებს... მზის სხივები
ღრუბელთ გუნდში მიიმალა,
და სალამოს წყნარი სიო
მკაცრ ქარიშხალს ეცალა...

(იხ. მე-10 გვ.)

თბ. ქართ. დრამატ. დასი.

სეზონი 1915/16 წ.

ვასო აბაშიძე

ე. ჩერქეზიშვილი

ნ. დავითაშვილი

ტასო აბაშიძე
ვალერიან გუნია

ა. იმედაშვილი

ნ. ჯავახიშვილი

დ. მგალობლიშვილი

კ. ანდრონიკაშვილი (რეჟ.)

ანეტა ქიქოძე

ნ. თოიძე

ა. შანშიაშვილი

გ. არადელ-იშხნელი
ბ. ახოსპირელი
ზ. გომელაური



ი. თარალაშვილი
მ. სარაული
ი. ქივიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჰა, გულსაც სევდა იპყრობს,
ტანჯვის ღმერთმა ფრთა გაშალა:
წარსული დროთა ტკბილი გრძნობა
დღეს ძირ-მწარად შეიცვალა...
ცრემლის ღამეს მიემატა
უნუგეშო ტანჯვის დილა,
და განვლილი ნეტარება
ოხვრა-კვნესით დაიჩრდილა...
მაგრამ მჯერა, მოიდრეკს
ცა მრისხანე, პირ-უკმეხი,
ვამთელდება ისევ გული,
სევდა-ჭმუნვით განატეხი... **სანგან**

სევდის ზღაპარი

(ფ—ს)

ბულბული ვარდს ეშხით შეჰყეფს,
ციურ ჰანგებს ამსხვრევს გრძნობით;
ვარდი ვნების ტალღებად ჩქეფს
მთნე პეჰლას ფრთებ-ქვეშ ტრფობით...
და მგოსანმა ეკალს გული
დაადგა და აღარ გაღიობს...
პეპელა-კი ფინ-აღძრული
ხამბახის მკერდს დაფრთხიალობს.

—

ეგ ზღაპარი სევდით სავსე,
სავსე ფარულ ძლიერებით,
შენს რეტულში მოვათავსე,
დასტკბი შენის ცხიერებით.

ცვარ-ნამი

მჯქანარი სიცოცხლე

დამიკვნა ვარდი სიყმაწვილისა,
ჩემ ყრმობის ხესაც სცვივა ფოთოლი;
სჩანს მეც მეწვევა შემოდგომის დღე,
სჩანს მეც დავკარგავ ბეღლი ობოლი.
და ისე შთავალ შავ-ბნელ საფლავში,
არავის ვეტყვი: „შეიდობით, გტოვებ!“
რადგან ვიცი, რომ არავინ მყავდა.
სიკვდილის ეჭვსაც ვერავის ვბრალებ..
მაგრამ, ოხ, ოვდით, თან მიმდევს შენი
უმანკო ტრფობა და სიყვარული,
და გულით მიმაქვს ეგ თვალთა კრთომა,
სიკვდილის ფერით შემოპარული.
გაივლის ეგეც და ქვეყანაზე
თვით ჩემი ძვლებიც აღარ იქნება,
ვინ იცის ახლა ჩემსა მაგიერ
რომელი თიხა ჩამოიქნება!..

ი. დაროშვილი

*
* *

სდუმდა ხმელეთი კარგა ხანს, არსით ისმოდა ჩქამია...
ცამ გადიხურა ქვეშიდამ მძიმე ღრუბლები შავია:
თავს დასტრიალებს ქვეყანას ზარ-დამცემელი ქამია,
იქუქა, ცამ დაიგრგვინა, ზვავს დაეჯახა ზვავია...

შამოიქედა ნისლები, ქამი რამ დადგა მწარია,
კლდე და ღრე თანასწორდება, ცახცახებს მთა და ბარია,
ჰაერით ისმის ღრიალი, მიჰქრის და მოჰქრის ქარია,
მზე ემუქრება მთვარესა — ეხლა ხომ მოგასწარია!..

აღელვებულა ხმელეთი, დიდი რამ ცოდვა-ბრალია,
გრიალებს თოფ-ზარბაზანი, ჰაერში ელავს ხმალია,
ქვეყანას ცეცხლი მოედვა, ცას წვდება მისი ალია,
უმანკო კრავი შიგ იწვის, იმარჯვებს ბოროტთ ძალია!..

კმარა, გვეყოფა, უფალო, გვაშორე ბედი მწარია,
კვალად მოგვფინე ის ძალი, იას ვერ სჩხვლეტდეს ნარია,
გაბრწყინდეს კიდით-კიდემდე, ნათელს გაეღოს კარია,
გაჩაღდეს წმინდა ლამპარი, ჰყვაოდეს მთა და ბარია!..

გ. სტეფანწმინდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი მ ა თ

(ხალხური კილოზე)

ძიძგი-ძიძგი, მამალო,
წითელო და ნაცარა,—
აბა, თქვენში ვინ არი
კვირცხლი, მარდი, მაგარა?
შეგეტყობათ „ბრძოლის“ დროს,—
დაჰკათ ბუკი ნაღარა,—
გაჰხდით ქვეყნის ტ-ნგიკი,
ბლუტი, ტაკი-მასხარა?
ნუ ნაღლობთ, მაგ „ბრძოლამა“
თუ ჩვენ ყველა დაგვცარა —
თუ .თქვენ კინკლაობამა
მოყვარის გული შაზარა...
ძიძგი-ძიძგი, მამალო,
ძალა შეგწევთ აღარა!
თქვენმა გაუტანლობამ
ჩვენი მტრები ახარა!..

იაგო ტეტუნაშვილი

გედი ქართლისა

ისტორიული ქრონიკა 4 სურათად

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 44)

VIII

მეფე გიორგი (მარტო) ჰმ!.. როგორ გაიფთრდა აქა?! როგორ დამცინა და შემარცხვინა ხალხში!.. ჰმ!.. (სიჩუმე) დიახ!.. სხვა გზა არ არის! ეს უნდოდა მამა ჩემს, ერეკლე მეფეს, ეს უნდოდათ წარჩინებულთ თავადაზნაურთ! უკეთეს მოკაშირეს ჩემთვის, როგორც რუსთა მეფე პავლეა, მე ვერ ვნახავ. მარტო იმას ძალ-უძს დაიხსნას ქართლი გარე მტრისაგან და შინა—ურიგობისაგან... იმის მფარველობის ქვეშ ვიქნე! (დაიჩოქებს) ღმერთო მაღალო! მიშველე, მომხედე მოწყალების თვალით, რათა მე დავიხსნა ეს ქვეყანა, ხვედრი დვთისა მშობლისა!.. ღმერთო, ნუ მომკლავ, მანამდის არ შევასრულებ ჩემს ოცნებას და ანდერძსა ჩემსა... მაკურთხე მე უმცირეს მოყვასი შენი ამ დიდს საქმეში სამშობლოს ჩემის განთავისუფლებაში. ღმერთო ძლიერო! შენს წმიდა სამწყსოს შემოგაველერებ ჩემსა სამეფოს. გულთა-მხილავო ღმერთო, შენ უწყი რაც დდეს საქართველოს ჭირნი მოადგა! ბრალი არის, უფალო, მტერი წარმტაცი შენნი ცხოვარნის! (ამ დროს ოთახის კარებში გამოჩნდება მარიამ დედოფალი და დაინახავს, რომ გიორგი ‖ დოტუდობს, ტოტს შეჩერდება) ჩვენო ხელთამპყრობელო, გვედრებ—ლადგინე დღეს საქართველო!

IX

გიორგი და მარიამ დედოფალი

მარიამ. ჭოლოცულობს!.., ილოცე, ილოცე, ჩემო გიორგი და ევედრე ღმერთს მოჰხედოს ჩვენს მწუხარებას.

გიორგი (მარიამის ფეხის ხმაზე ფეხზე ‖ ამოდგება) ოჰ, მარიამ! შენ აქა ხარ?.. მიამა შენი მოსვლა ჩემი ლოცვის დროს!.. შენ მოხვედი კეთილის განზრახვით თუ ისევ ჩემი წინააღმდეგი იქნები?

მარიამ. შენთან ყოველთვის კეთილის განზრახვით მოვდივარ და შენი წინააღმდეგობა კი მე არ შემიძლიან და არც ძალ-მიძს, შენ იიხირებ ხოლმე რასმე და...

გიორგი არა, მარიამ, მე ახირება არ ვიცი. შენი რჩევა ჩემთვის მუდამ ეამს ძვირფასი იყო...

მარიამ. იყო?.. ახლა კი არა?.. ჩემზე გული აგრე რად შეიცვალე?..

გიორგი. იმაზე შემეცვალა გული, რომ მე და შენ მაინც ‖ ვერ შეეთანხმდით რუსთა მეფის მფლობელობაზე.

მარიამ. მფარველობა, რომელიც მამა შენს სულითა და გულით უნდოდა და ახლა შენც იმასვე სჩადიხარ, რომ...

გიორგი. მაინც რას იტყვი? რუსთა მეფის სახელი გაგონებულია, მეფე არის ბრძენი და ქველი. რაჟანაც ჩვენ და რუსნი ერთ სარწმუნოებისა ვართ, მსურს მივსცე ჩემი მეკვიდრეობა და ის მისცემს ქართლს კეთილ-დღეობას!

მარიამ. რასა ბრძანებ, მეფეო? ნუ გაგონებ ხალხს შენს გარდაწყვეტილებას და შენს საოცნებო სურვილს, ხალხს რომელიც შენგან შველას მოელის და დახსნას განსაცდელისაგან... ჩვენი ბედი ‖ ვერ იქმადის არ მისულა, რომ დაკარგოთ ჩვენი თავისუფლება... კარგად იცი კი, მეფეო, რომ ქართველნი რუსთა ხელში იქმნებიან კეთილ-ბედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერნი? ერთ-სარწმუნოება ჯერ არა-რასა ნიშნავს, რომლისაც ერთა თვისება სულ სხვა და სხვა არის... ვინ იცის როგორ შეითვისებს რუსი ქართველს და როგორ მოეკიდება იმათი მთავრობა ქართველთა მოთხოვნილებას. მაშინ, რაოდენს ქართველს ამაოდ ჩაუვლის ყოველი კეთილი გულის თქმა, ყოველი კეთილი წადილი და დაწყობილობა, თუ მფარველი ვერ გაიგებს ქართველის გულს... არა, არა, გიორგი, ნუ იფიქრებ მაგაზე და მაგ სურვილს ნულარავის ნულარ გააგონებ და შენი ერის დაუკითხავად, შენ იმისი ბედი არავის არ უნდა ანდო, თვითონ შენ უნდა განაგო!

გიორგი. რასაცა ბრძანებ, ეგ ყველაფერი მე კარგად მესმის .. მესმის, რომ არა მაქვს უფლება აგრე მოვეკიდო ერს, მაგრამ მე სხვა გზა არა მაქვს. ქართველთა კეთილ დღეთათვის, აბა ამაზე უმჯობესი მე რა უნდა მოვაგვარო?.. მე, მამა ერისა, გვირგვინოსანი, მე ვალი მადევს ვიზრუნო, რომ უკეთესს ბედს მივახწევინო ერს. ამაზედ უკეთესს აბა სხვას რას მოვაგვარებ? ვითარცა კეთილი მამა ერისა, რომელსაც ჰსურს, რომ თავისი შვილი თვისის სიცოცხლეშივე დაასახლკაროს, მეც ვფიქრობ უკეთესი მემკვიდრეობა დავუმტკიცო... ძნელი არის, ძალიან ძნელი, სამეფოს ცხოვრება, როს იგი უჰვრეტდეს ომსა დღითი-დღე, თავისსავე სისხლის ნთხევასა და სიკვდილსა! არა, მარიამ, შენ ამაზედ უარი არ გეთქმის და დამეთანხმები, რომ...

მარიამ. განზრახვა შენი ფრიად მაკვირვებს! შენ იცი, რომ ქართველებს არაფრათ მიაჩნიათ არც სიკვდილი, არცა სისხლი და არცა უბედურება, თუ აქვსთ თვისს ჰერქვეშ თავისუფლება!

გიორგი. ახ, თავისუფლება! განა კარგია ის თავისუფლება, როცა სისხლით არის შეღებილი, როს თავისუფლება ეს მიეცემა ერს მრავალთა ძმათა სიკვდილით?!. არა! შენ ისა სთქვი თუ, რა უნდა ჰქმნას ჩემმა ერმა, როს ჰხედავს თავის დამცირებას, დამარცხებას მტრისა მახვილის ქვეშ?.. შენ რა შეგიძლიან, შენ, ერის დედოფალს, რა შეგიძლიან ერის მშვიდობისათვის და კეთილ-დღეობისათვის? არაფერი, დამიჯერე მე!.. აი, მივიღებ შენ რჩევას, გულში ჩავიმარხავ, დავიდუმებ ჩემს გულის თქმას, მაგრამ ამას კი გეტყვი, რომ დღეს იქნება თუ ხვალ, ქართველთა ერს დაიცავს მხოლოდ რუსთა ხელმწიფე!

მარიამ. მე და შენ აქ ქართლის ბედს განვასამართლებთ, იქ კი, თვით ერი ჩვენი, თავის სამშობლოს ჰირისუფალსავით თავს დასტირის და დაჰგლოვობს!. შენ არა გაქვს უფლება ერის ბედი კამათელსავით ათამაშო! შენ არა გაქვს უფლება ერთგული ერის ბედი სხვას ჩაუგდო ხელში! ვინ მოგანიჭა შენ ეგ უფლება? გაქვს განა ნება სხვისი თავისუფლება ფეხით გაჰქელო?.. ერმა შენ მოგცა უპირატესობა, მეფედ დაგსვა, რომ განაგო იმისი კეთილ-დღეობა მისივე სასარგებლოდ და ახლა შენ გავიწყდება, რომ მარადის და მარადის მეფის გულის თქმა ეკუთვნის მხოლოდ ერსა და არა შენ თვითონ!

გიორგი. ერს არ ესმის მეფის გულისთქმა და იმისი ღვთიური ზრუნვა!

მარიამ. რა შეგცოდა ქართლის ერმა, რომ შენ აგრე დასჯას უპირობ? თავისუფალი ერი გინდა გალიაში შეამწყვდიო?.. არა, შენ ამას არ იზამ!

გიორგი. მარიამ, ჩემო ძვირფასო, გვიანღაა ამაზე ჩვენი სჯა და ბაასი, გვიანღაა!.. ისინი აქ არიან და ფეხიც მაგრად მოიკიდეს. ეს უნდოდა მამა ჩემს, ეს უნდოდათ ჩვენს წარჩინებულთ თავადებს და მეც, ცოდვილი, იმათი მომხრე ვარ ახლა!.. წადი მარიამ, სიონში ილოცე და ევედრე ყოვლად მპყრობელსა მაღალსა ღმერთსა, მოგვიტევოს შეცოდებანი ჩვენნი.

მარიამ. მივალ სიონს! გეტყვი კი, რომ ჩვენში ერმა აქამდის არ იცოდა რა არის ცრემლი, ახლა კი ცხარე ცრემლს დააფრქვევს! (გადის)

გიორგი. (მარტო) დიახ! დიახ!.. შენ მართალი ხარ. მარიამ, ყოვლად მართალი!. სათნო ადამიანო!.. ღმერთო! ღმერთო! რა ცოდვილი ვარ, შენს წინაშე და რა საბრალო ვარ და დამნაშავე—ერის წინაშე! გვიანღაა ახლა გვიანღაა! ღმერთო მომხედე და ნუ დამღუპავ! (მიდის ნელის ნაბიჯით)

(ფ ა რ დ ა)

კ. ყიფიანი

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი მეცნიერი ქალი

ბარბარე ნიკოლოზის ასული ყიფიანი. ეკუთვნოდა ქართველის დიმიტრი ყიფიანის შვილის შვილი, დაბადა ქ. ქუთაისში 1879 წ სწავლა დაიწყო სახლში. 11 წ. შეიყვანეს ობიდ. წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში, რომელშიაც სწავლა შეასრულა 1987 წ. არც სახლში და არც სასწავლებელში ბარბარესთვის სიმშობლო ეხა წესიერად არავის შეუსწავლებია. ეს ნაკლი დღეგანდლამდე მწუხარებას უნენ მას და მის შეგსებას ლდესაც ფიქრობს.

ნათოიერმა უსახსრობამ ბარბარე შრომის ველში სასწავლებლის ეთაოვებისასაგე შეაბა და 4 წელს ზანის ოთხ-კლასიან ქალთა სასწავლებელში მასწავლებლობდა: ცოდნის წყურვილის მოსაკლავად კეკეზიური ენრომპეს, სადაც ოცეისი ძალრფსი მაძა გაგულებდა, 11 წლით მაზე ეწინ წასული. ბედნიერ შეიქმნა ბარბარეს ტეკინის სიმშობლად; აქ დასრულა სპეზეინისმეტყველო ფაკულტეტი, მშობლად და სიაზეთ შიეტა ფიზიოლოგიის მეცნიერულად კვლევა-შესწავლას და მის გამოყენებას შედეგიანაა.

ფიზიოლოგიური შრომანი ბარბარესი ცნობილი და დაჯილდოებულია მრავალჯერ პარიზის სიმეცნიერო აკადემიისგან, მეცნიერთა კონგრესებზე და თარგმნილი ყველა ევროპიელ ენებზე. შეადგენაანი მან შეიტანა ახალი ეზრი, რომ ბავშვი ორივე ხელით ეზლა სწავლობდეს წერას, ხატვას და სიზოგადოდ ადამიანს ორივე ნახევარი სხეულის ერთნაირ განვითარება-ეარეკეთებისა და ბერებაში ეზლა ჭქონდეს, რაც ფიზიოლოგიური კანონებიდან გამომდინარეობს. ამ შრომამ დიდი ეურადღება დაიმსახურა ევროპაში და ბელგიაში მაშინვე შეეფერენ საქმის ბრაკტიკულად განხორციელებას.

ბარბარეს კრძნობის სალაროში სიმშობლის და მშობელ ერს დრმად გაეფერვა ფესვები. უცხო მხარეში ეარდანეეწყალი, გატეტებით ეცნობიდა, თუ რა ოქმეულა იქ ქართველებზე. ბევრი საგულისხმიერო და საინტერესო შეხვედრია, რამეულაც ერთგვარ წეობიდებაში მოყვანის შემდეგ, ფიქრობს გამოაქვეყნოს.

ამის დაწყების ზაფხეულს სტეეშრად მოგდა საქმეშობლოში, მაგრამ ამის გაძლიერების გამო, ეგი ეყლარ დაებრუნდა ნარმადურს შეშობან და ოცეის საარჩენად სამ.-ზე. კიმნაზიაში შეეფდა ფარნეული ენის მასწავლებლად, ამ რეშენიო, რომ კეფლა დაებრუნდება შეცნიერებას.

ვინაცრიო ჩვენი მოზარდი ქალები ეეშმარიტების მისაღწეეად ბარბარეს სმაკვსად სიყვარეული შეამოსნონ და მისებრ ეეგერდად, კეთილშობილ ეზოს ძიებით გაჩეეზენ ენინმეფლადობის და ნაკლები მიჭაბაძონ კეტების ნიეთიერ ქეეეენიერობის ნეიერობის დაეფეფება-ეამოეენებაში. მაშინ მომავალი უფრო ნათელი და ეაბეეკი იქნებოდა ჩვენთვის.

ბ—ოსული

ახალი რეალიზმი საბიოგაში

(კაბიბ შევსკის კრიტიკული წერილებიდან)

ძეეველად მსახ. ალ. ყალაბეგიეშვილ.

...როგორც ეთქეთ („ო. და ტ." № 44), სტენაზეე ადგილი ეფლა დაიეერთა ახალმა მსახიობმა, სეფიერ კანტდათა კანმსახსიერებელმა, რომელიც სალ და სეფორმეფალეული ნაბიეთი მიდის ეფინ.

რაკეთ სალამ და ეაბრალოდ გარდაქეცნიმალეთი ხელოვანი მსახიობი, ამის მაკვალთის ელეანარა ეეეზე ეკვალეეეს. ეგი ერთ ეეეზეც არ შეეოეამანებულა იმსენის „ნარაეეზ" გამოეტანებანა დრამის ის ადგილები, რომელთაც სიანმდგიდეესთან ერთეთაანი საერთო არა ქეეთ რა, გარდა ეესიამოენო რეეზონიორობისა. რადგანაც ნარას ქმარი თავის მეეზრეული ხელის მოელს სიმდაბლეს ამბეფეეეს, მაშინ ნარა (ელეანარა ეეეზე) ერთ სიტეეეესაც არ ამბობს, შიმოსაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარების უკან იგრუნწნება. სიბრეხვადისაგან ფუნეს და ზეზდამ ეკსეა გუდი, რომ ქალდის ისეთი კეცის ცოდი იო,—ეს მიდის თავისთვის, ამბობენ, ამისეი ფეტრ კაჯორდ, როდესაც ბაიკო თავისი ბმირი ქალის ასეთი შეცდომა. მაგრამ ნინამდველ, რომა ფსოქვა, ამისენა, რაშეალიც სიფეგრეალიო შეფეტროდა სასეცენო ხეთოგნების ნამდვილ ბაზეზე შედგომის, რაშეალიც ფუალიო და კეალიო ალეტეგეალიო იო, რომ ფინანდალი ფონკალიორი და კომეალიტი კარდაქმნის ბაზს ალეადგ, ან. ეინ, კაბრეზებეალიო... ეგორმა ფრეალი თავისეფვდება უნდა მანიეზოს მსახიობს, დრამის ზოგი ადგილები თვის ინდიეიდეალიბის შესაფერესად კარდაქმნა. რად არის, რომ მსახიობს არ შეეძლიან სიტეეგების ეფობათ ალაგეობა ისე, რომ ერომოიქმა დროსარ ბრეალდებოდეს? ეჩორეს, ეგორისაგან ნანეგნება კანსაზღვრეალი ბაზა ზეალეგს მსახიობის თავისეფვალ მეძრაობს, რად არ შეეძლიან მსახიობს, შესცვალოს ეს ბაზა ეფრო მასასრეზებალად, რომეალიც ნაკალი მეგეეროგებას მაკეენებს? რისოვის არის, რომ მსახიობის მეძრაობა ქეზაში, ასახლეში ან ფესტორანში თავისეფვალია, და სტენაზეკა ისე დაარეფს, თითქოს ფეგხეი შებოჭალი ქარიდეს. რისოვის არის, რომ მსახიობი თავის ტანის თავისეფვალ მეძრაობას სტენის რაღაც მოუხეშავ საბრალო მეძრაობად? რისოვის არის, რომ რაღესაც მსახიობი კანაცდის ამბაფ ამ ალეალ კეფეეს, თავი ეაკალი რაღაც სხვა გეარად, ავეეეებს, რომ კეიარეს, ეაბოხტეს ხალმე და არ კეალდეს, ან მაკალასთან არ მიალეურსმის? რისოვის არის, რომ რაღესაც მსახიობი სიტეეგს „მიეეარსარს“ ეარმასოქვამს, გულში აღეეს, ეეარას მაკალი ხმაი?—ნუ თუ ვეეეეგდება, რომ რაღესაც იგი ამ სიტეეგს ტხეურებაში ეარმასოქვამს, მაშინ იგი სრეალეალი ბუნებრიკალ იტეეს კ., შესაძალებელია, ალეგ კასაგეი ეარეეგალიაც? რისოვის არის, რომ ალეალეგების კრანი მსახიობი ასეო ნიარად კალმაბრუნებს თავალეს, თითქო მთალი ეგეეხი კალმაჩვარარ? ამბარ ხომ არეალ სრალეს! რისოვის არის, რომ, რაღესაც მსახიობეალს თავს ეაკალეგიან „არა სასეარეგი“ ალგამარეალიაში, იგი ტეჩრეს კვნეტს კალეეგს?

... ეარა, ეკეალ ასეთი კარეგენეალი „ოპაზეი“ ინტალიგენტ მეეურეკალს ალარ ეკმალეფალეს.

სტენა რომ შეიქნეს ნამდვილ მხატვრულ შემოქმედების საფარად, ისეთ ადგილად, სადაც ადამიანს შეეძლიან ფრმად ჩაიხედოს ცხოვრებაში და უფარის მის ძრაზ, —ამისთვის საჭიროა ალარ ალის ძალნეა-კრეხა სტენაზე. ამისთვის საჭიროა ინტელიგენტი მსახიობი, რომელიც უნდა შეიარაღდეს სწორ-მხედველობით და ეულწრფელი სინამდვილის კალმომცემი სადა თამაშით.

ვერხვი

ქარადა

სამკაულია ქალების,
შესამოსი ჩასაცმელადა;
მოიღეთ მისი სახელი,
შეა გაჭკვეთეთ წყვილადა,
პირველი შემომთავაზეთ,
შაოდას დასაწყებადა,
შემდეგ მონახეთ ნოენი
ს დგომი, მდგარი ზღვაზედა;
ოთხ-მარცვლოვანი სახელით
ცნობილი ქვეყანაზედა;
პირველ მარცვალს თუ მრეუნებთ,
ზემორის შესადგმელადა,—
შეა-ფგება მოკლე სახელი
ჩვენთვის ტანჯულის ხელადა,
რომლისა სიტყვაც გრგვინავდა
ძველ წესთა დასამხოლადა,
ახლა კი ეცხო მხარეში
რომ განდევნილა ობლადა...

ვარდენ ლვანკოთელი

ქართული სახიობა

ხარშუხის ბაზ. კლუბი თვისი ცხოველმყოფელობით, ეროვნულ-კულტურული მიზნებით უკვე გაერეკნა თბილის დანარჩენ კლუბთაგან. მაძასახლოსთა სახეზე ბ-ნ ფ. მ. ფუმბაძის თავმჯდომარეობით, სრანს მტკიცედ შესდგომია თავის წევრთა ხასიკეთო მუშაკობას: ყოველ სადამოს, ცვლილებით, იმართება კონცერტი, ლექცია, წარმოდგენა ანე სხვა კულტურულ-გონებრივი გასართობი. კლუბში დაიარება უმთავრესად დემოკრატიული ნაწილი სახოგადოებისა, უმეტესად ქართველობა და თათრობა. კლუბს ჰსტუმრობენ ოფსნი, ებრაელნი და სხვენიც კლუბში ქართული სულია გამეფებული. იღ ია სადამოს (27/X). შემდეგ გასულ შაბათს საბავშო საღამო გაიმართა; კვირას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1/XI. ცნობილმა პუბლიცისტმა სამ. ფირცხალავამ წაიკითხა თავისი ფრაზად შინაარსიანი, ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობებით მდიდარი ლექცია „სამამულიანო საკართველო ანუ ძველი მესხეთი“, რომელიც მრავლად დამსწრე ახროგადოებამ დიდის ყურადღებით მოისმინა და ლექტორი ხანგრძლივი ტაშით დაჯილდოვდა. ლექციის შემდეგ სამეცნიერო ორკესტრმა პრესიანის ლოტარიობით შეასრულა რამდენიმე სამუსიკო ნაწარმოები, ზოგიერთი მათგანი სახოგადოების მოთხოვნით განმეორებულ იქმნა.

ოთხშაბათს, 4/XI. ქართ. დრ. დასმა ა ანდრონიკაშვილის რეჟისორობით წარმოადგინა ივ. გომარ-თელის „ეკიმთან“ და ა. ცაბარლის „მთიელი“. 3 მოქ.

ამ მოკლე ხანში „ეროვნულ-ფეოლეოს საღამოს“ გამართავენ.

სასურველია, ლექციის ანუ წარმოდგენის დროს კასასვლელებში სინუმე დაიცვან. უსავნო

ქუთაისის დასმა თვრამეტი დღის განმავლობაში (1—18 ოქტომბ.) წარმოდგენების წესიერად მართვით უკვე ფეიჩვია ინტელიგენცია და მუდმივი მოსიარულე ხალხი. იდგმება უმთავრესად ისტორიული და ეროვნული ტიპესები, დასი შეთანხმებული, ახალგაზრდა მუშაობს, ამ დროს განმავლობაში, თითოეულ წარმოდგენაში საშეალოდ შემოსავალი ჰქონია 253 მ. თითო მოაკლ—6 მ. 50 ჯ. დასს ეკიდა ბა ნივთიერი დახმარება, რომ სცხონი ბილოლნიდ მიიყვანოს. ბენეფისტები დაიწყება 19 გიორგობისთვეს. პირველი ბენეფისი ეკუთვნ ელ. ანდრონიკაშვილისაა. ლი

კავკაკში კვირას, 25/X. ადგილობრივმა სცენის მოყვარეთა წრემ ბ-ნ ბალაშვილის რეჟისორობით წარმოადგინა ბ. ოიეთელის ფრ. „დამარცხებულნი“. წარმოდგენას მოეხვდნა ეტყობოდა: ყველა თავისს როლში იყო, რეჟისორსა და ყველა მოთამაშე სცენის მოყვარეს შესაფერი ზრდა გაეწოთ წარმოდგენის კარგად ჩატარებისათვის. განსაკუთრებით მეწყობრათ ჩაიარა პირველმა და მეხუთე მოქმ. კარგი იყო ბ-ნი ბალაშვილი (ნ კოკ), ვ. ეკუმაშვილი (ვანო), ქ-ნი ა. თათარაშვილისა (დედა). დანარჩენებიც ასსაბლს ხელს უწყობდენ. წარმოდგენას ხალხი ბლომათ დაესწრო.

7/XI წარმოდგენ. იქნ. სოფლის გმირები“.

ბ-ნ — ლი

ბაქოს დრამატიულ წრეს განუხორციელებია ბაკახანაში თეატრში ორი წარმოდგენა ბაქოელ. ეს დიდი გასაკი ბაკახანის ქართველობისთვის, რომელიც ერთ ადგილ ქართველობისთვის, ეროვნულ ეროვნულ ეროვნულ

ქართ. დრამ. დასის სეზონი სახ. სახლში დაიწყება 13 გიორგ. პირველი წარმოდგენა „გადაკრილი მუზა", ვ. შ ლიკაშვილისა.

ხარფუხის საზ. კლუბის მამასახლისთა საბჭომ დადგინა, თვეში სამი უქმე დილა დაუთმოს წაკითხვაში ქართ. მოლვაწეთა აგარაკის ასაშენებლად შემდგარ კომიტეტს საბავშო დილათა გასამართავად. გარდა ამისა, თვით მამასახლისთა საბჭო თავის წევრთა ოჯახებიანთვის გამართავს „უფასო საბავშო დილებს.

ქავკასიელ მხატვარ-ხელოვანთა გამოფენაზე, როგორც ჩანს, პატარა უთანხმოებამ იჩინა თავი. გადაწყვეტილი იყო, გამოფენაში ყველას მ ეცა მონაწილეობა საკეკეთესო და რჩეულ ნაწარმოებთა გამოფენით, რომ უმაღლეს სტუმართათვის, რომელთაც ელიან, კავკასიური ხელოვნება გაეცნოთ. ნამდვილადაკი გამოფენის ერთმა მეთაურთაგანმა, ცნობილმა მხატვარმა თავისი ორმოცდა ათამდე ვეება სურათი — ნახატი და კოპია გამოაფინა პირველ ადგილზე, თოთქოს ბაზრობაა, რის გამოც მ. თოიძეს ადგილი აღარ დარჩენია, ამით შეურაცხყოფილმა მხატ. მ. თოიძემ თავისი სურათები უკან წაიღო.

დრამატ. ტრ. რამეიშვილმა დასწერა ერთ მოკმედებიანი კომედია „ეკეკი მბიარული".

ელო ანდრონიკაშვილის ბენეფისი ქუთაისის თეატრში გაიმართება 19 გიორგობისთვეს.

ქუთაისის დრამ. საზ-ის ორა ჩვეულებრივი კრება ამ მოკლე ხანში გაიმართება. კრებამ, სხვათა შორის, უნდა სახსარი აღმოუჩინოს დასს.

ცნობილს ისტორიკოს თ. კორდანიასა თბილისს იწვევენ ისტორიულ ლექციების დროგამოშვებით საკითხავად.

ზეო. ლვიმელის მფარველობის პატივისმცემელ მშობელთა და მასწავლებელთა გადაუწყვეტნიათ, მგოსანს სახეიმო დილა გაუმართონ.

აქეთურ-იქეთური.

განცხადებასაც მოგონება უნდა! და სად მოგონებადგან არა ჩვეულებრივ განცხადებას. თუ არა ამერიკაშ? ამერიკის ერთს ქალაქში ახალი პიე ის წარმოდგენამდე, გზეთებში შემეკენი განცხადება დაიბეჭდა: „ახალგაზდა, ლამაზ და ობოლ ქალს, რომელსაც ორასი თასი მანათი აქვს, ჰსურს შეირთოს ქმარი, ისეთი კაცი, რომ ქალის დოვლათის მოგლა-გაძღოლა შეიძლოს. სათხოვარ. სგანგებო ცოდნა საჭირო არ არის. ჰსურველთ მიმართონ წერილით მ ვ ბ. მზრუნველს". ამ „ქალს" დიდალი მთხოვნელი აღმოუჩნდა. წარმოდგენის დღეს, ყველა მათგანმა მიიღო შემდეგი წერილი: „მ. ბ. ნემი ძმისწულო ქალი დღეს საღამოთი ვაკეშრობა დღევანდელ წარმოდგენას და ოჯდება ლოჟაში №... გთხოვთ თეატრში მიბრძანდეთ და გასინჯოთ. მ ვ. ბ." ოალა თქმა უნდა, თეატრი გაიკეტა, ხმალიდ აღმოჩნდა ლოჟაში-კი არავინ მჯდარა...

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილის**.

ხარფუხის საზ. კლუბი

მიზეილის ქუჩ. № 131

ერთი კვირის პროგ. 7 გიორ. 15- გიორგ-დე

შაბათს { სიმღერიანი ორკესტრი
კვირა { პრესმანის ლოტბარობით,

ორშაბ. სინემატოგრაფი

სამშაბ. სიმღერიანი ორკესტრი

ოთხშაბ. ქართ. წარმ. „პირველი ბუზი"

ხუთშაბ. სიმღერიანი ორკესტრი

პარასკევს. საზანდარი, სინემატოგრაფი

შაბათი { სიმღერიანი ორკესტრი
კვირა { პრესმანის ლოტბარობით

შესავალი ფასი: მამაკაცი—30 კ. ქალები და სტუდენტები—20 კ. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

ქუთაისი
ბ. ლ. ბ. ბ. ბ